

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა სკანდინავიურ ფილოლოგიაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება- სკანდინავიური ფილოლოგია
(Scandinavian Philology)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
BA in Humanities

3. პროგრამის კოორდინატორი: თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის
ხელმძღვანელი კახაბერ ლორია

პროგრამის კონსულტანტები: მალმეს (შვედეთი) უნივერსიტეტის
კულტურისა და საზოგადოების ფაკ-ის სრული პროფესორი კარინა ვამლინგი;
ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის
ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ფრუდე ჰერმუნდსგორდი

4. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, სრულყოფილად შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური
ენები და ლიტერატურა, მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკანდინავიის
ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ,
გამოუმუშაოს შესაბამისი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები. სასწავლო
პროგრამები სკანდინავიური ფილოლოგიის /სკანდინავისტიკის სფეროში
არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან
უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა
ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება
მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა,
ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული
სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

საზღვარგარეთ სტაჟირება სწავლის პერიოდში:

სასწავლო პროგრამის განმავლობაში საუკეთესო სტუდენტებმა სკანდინავიური მხარის დაფინანსებით შეიძლება გაიარონ 1-2 თვიანი სასწავლო კურსი სკანდინავიის უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლებში და გრძელვადიანი (1-2 სემესტრი) სტაჟირება ხსენებული სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

სწავლის შედეგი:

პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი შეიძენს შესაბამის კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამოუმუშავდება თეორიული თუ პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ ზოგადი უნარ-ჩვევები, აითვისებს ორ სკანდინავიურ ენას პროფესიულ დონეზე, შეისწავლის სკანდინავიის ქვეყნების მრავალეროვან და უაღრესად მრავალფეროვან ლიტერატურას.

დასაქმების სფეროები:

მხატვრული თარგმანი; სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; პედაგოგიური საქმიანობა (შესაბამის დამატებით (minor) სპეციალობასთან კომბინაციაში); საქმიანობა ბიბლიოთეკებში, არქივებში, გამომცემლობებში, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავისტიკაში (სკანდინავიის და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში); სკანდინავიურ ენებზე მიმდინარე სხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავიის უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ და სხვა პროფილის ფაკულტეტებზე. ფილოლოგიური და ჰუმანიტარული პროფილის სამაგისტრო პროგრამები ევროპისტიკისა და გერმანისტიკის, ასევე სხვა მონათესავე დარგებში (საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში).

ზემოაღნიშნული ძირითადი საბაკალავრო პროგრამა სკანდინავიურ ფილოლოგიაში ახლო მომავალში შეიძლება წარმატებით იყოს კომბინირებული თსუ-ს ფილოლოგიური პროფილის ძირითადი სპეციალობის სხვა პროგრამებთან ე.წ. ორმაგი ძირითადი (major) სპეციალობის რეჟიმში.

5. ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა_ ბაკალავრიატის მესამე სემესტრი

6. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა_ შეზღუდვის გარეშე

7. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა(იხ. დანართი)

8. საგნების სილაბუსები

9. საგნების ანოტაციები

1. დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამის დასახელება-
სკანდინავიური ფილოლოგია (Scandinavian Philology)

2. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური ენები და ლიტერატურა, მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. გაუღვივოს ინტერესი ამ მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილების ქართულ სინამდვილეში გამოყენებისათვის.

საზღვარგარეთ სტაჟირება სწავლის პერიოდში:

სასწავლო პროგრამის განმავლობაში საუკეთესო სტუდენტებმა სკანდინავიური მხარის დაფინანსებით შეიძლება გაიარონ 1-2 თვიანი სასწავლო კურსი სკანდინავიის უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლებში და გრძელვადიანი (1-2 სემესტრი) სტაჟირება ხსენებული სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

სწავლის შედეგი:

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი დაეუფლება ნორვეგიული და შვედური ენების საფუძვლებს, შეიძენს გარკვეულ ცოდნას სკანდინავიური ლიტერატურის და საზოგადოების შესახებ.

დასაქმების სფეროები:

სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; საქმიანობა ბიბლიოთეკებში, არქივებში, გამომცემლობებში, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავისტიკაში(სკანდინავიის და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში); სკანდინავიურ ენებზე მიმდინარე სხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სკანდინავიის უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ და სხვა პროფილის ფაკულტეტებზე.

ფილოლოგიური პროფილის სხვა ძირითადი სპეციალობის შემთხვევაში: სამაგისტრო პროგრამები ევროპისტიკისა და გერმანისტიკის დარგში(საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში).

ზემოაღნიშნული დამატებითი(Minor) პროგრამა სკანდინავიურ ფილოლოგიაში შეიძლება წარმატებით იყოს კომბინირებული ძირითადი

სპეციალობის პროგრამებთან თსუ-ს სხვა ფაკულტეტიდანაც(მაგ. სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების პროგრამებთან). ეს minor პროგრამა ხელს შეუწყობს ბაკალავრს არაფილოლოგიური პროფილის ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებაში, რომელიც სტუდენტის მხრიდან არაერთი უცხო ენისა თუ ფართო საერთაშორისო თვალსაწიერის ფლობას ითვალისწინებს.

3. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა_ შეზღუდვის გარეშე

5. საგნების სილაბუსები (იხ. დანართი)

6. საგნების ანოტაციები (იხ. დანართი)